

შპს „ჰერბია“ ს/კ 221272851

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2022 წელი**

სარჩევი

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4 - 7
<i>ფინანსური ანგარიშგება</i>	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
<i>ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები</i>	
1. ანგარიშგების წარმდგენი პირის ძირითადი საქმიანობა	12
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების მიმოხილვა	12-18
3. ძირითადი საშუალებები	19
არამატერიალური აქტივები	20
4. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	20
5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	20
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	20
7. გრძელვადიანი სესხები	21
8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	21
9. საოპერაციო შემოსავალი(ამონაგები)	21
10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	22
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	22
12. მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	22
13. სხვა ხარჯები	23
14. ფინანსური შემოსავალი	23
15. ფინანსური ხარჯი	23
16. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა	23-25
17. იჯარები	25-26
18. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები	26
19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	26
20. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	27
21. სასამართლო პროცესები	27
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	27



საქართველო, წყალტუბო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჰერბია“

5400 წყალტუბო, თამარ მეფის ქუჩა ს/კ 221272851

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

+995599516077; +995595900114 info@herbia.ge

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს „ჰერბია“-ს ს/კ 221272851 ხელმძღვანელობა
ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე
- საწარმოს მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მის ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და

- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 18 დეკემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ.

შპს ჰერბია

დირექტორი : ზურაბ ჯანელიძე





საქართველო GEORGIA
შპს „აუდიტი 2012“ ს/ნ 412686561
ქ.ქუთაისი, ზ.ანჯაფარიძის ქ №61
Tel: 599 28 81 66, email:bitsadze1956@mail.ru
LTD “AUDITI 2012” s/k412686561
61 br. Z.anjafaridze str, kutaisi

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ჰერბია“-ს ს/კ 221272851 მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჰერბია“-ის (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, გარდა ჩვენი დასკვნის - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“- აბზაცში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად სახსრებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დაგვნიშნეს 2023 წლის 12 სექტემბერს, შესაბამისად 2022 წლის ბოლოს. ჩვენ ვერ დავაკვირდით კომპანიის მარაგების ინვენტარიზაციას. კომპანიის მარაგების სპეციფიკადან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2022 წლის ბოლოს მდგომარეობით არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების რაოდენობების სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 637 345 ლარის ოდენობით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ მარაგებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო-მატერიალური მარაგების 2022 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთზე მოდიფიცირებულია.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვახერხეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებების მოპოვება ძირითადი საშუალებების რაოდენობაზე, გარდა მიწისა მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობებით. მოცემული თარიღისათვის კომპანიას არ აქვს ჩატარებული ზემოთაღნიშნული აქტივების გაუფასურების ტესტირება. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასა და მდგომარეობაზე. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 9 751 729 ლარის ღირებულებით. შედეგად,

ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ძირითად საშუალებებთან და მასთან დაკავშირებულ ცვეთის ხარჯთან დაკავშირებით.

2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იკვეთება სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების გაუფასურების ნიშნები. მოცემული თარიღებისათვის კომპანიას არ აქვს განხორციელებული ზემოთაღნიშნული აქტივების შეფასება გაუფასურებაზე. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების დადასტურებასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისად 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2 413 844 და 2 880 204 ლარის ოდენობით.

აუდიტის წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისაგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს)“, „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

კომპანია „ჰერბია“-ს (ს/კ221272851) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებულა ამ დრომდე, ამგვარად, კომპანიის პირველი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ტარდება შპს „აუდიტი 2012“ (ს/კ 412686561) მიერ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად „სადა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიში მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშზე.

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „მმართველობითი ანგარიშგება“-ის წარდგენაზე. „მმართველობითი ანგარიშგება“ მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ „მმართველობითი ანგარიშგება“-ს და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობითი ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოექცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოხმულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

შპს „აუდიტი 2012“-ს (ს/კ 412686561) სახელით

მარიამი ზიწაძე :

(რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS -A-102512)



ქუთაისი , საქართველო

18 დეკემბერი 2023 წელი

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	9 751 729	6 000 480	5 090 466
არამატერიალური აქტივები		1 801	1 801	1 801
სულ გრძელვადიანი აქტივები		9 753 529	6 002 280	5 092 266
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	201 204	213 802	1 782 967
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	2 413 844	2 880 204	932 674
მარაგები	6	637 345	264 498	198 544
სულ მოკლევადიანი აქტივები		3 252 393	3 358 504	2 914 185
მთლიანი აქტივები		13 005 922	9 360 784	8 006 452
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		8 080	8 080	8 080
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2 473 668	3 882 022	3 949 388
გადაფასების რეზერვი		982 658	982 658	982 658
სულ კაპიტალი:		3 464 407	4 872 760	4 940 126
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	7	8 761 319	3 757 715	2 563 018
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8 761 319	3 757 715	2 563 018
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		-	-	30 299
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	766 415	720 459	481 166
საგადასახადო ვალდებულებები		13 781	9 850	(8 158)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		780 196	730 309	503 307
მთლიანი ვალდებულებები		9 541 515	4 488 024	3 066 325
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		13 005 922	9 360 784	8 006 452

დირექტორი :

ზურაბ ჯანელიძე

18 დეკემბერი 2023 წელი



მთ.ბუღალტერი:

გულნაზი ჯელაძე

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის

ქართულ ლარში

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ამონაგები	9	12 006 968	5 136 488	4 341 811
თვითღირებულება	10	(5 582 165)	(722 313)	(495 952)
საერთო მოგება		6 424 803	4 414 175	3 845 859
სხვა შემოსავლები		491 156	236 940	495 483
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	(1 324 499)	(1 135 221)	(836 262)
მიწოდების დანახარჯები	12	(2 465 737)	(1 538 523)	(1 085 424)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		(16 091)	(245)	1 410
სხვა ხარჯები	13	(1 102 931)	(326 202)	(256 077)
საოპერაციო მოგება		2 006 702	1 650 924	2 164 989
ფინანსური შემოსავალი		217 489	1 568	-
ფინანსური ხარჯი		(689 942)	(204 114)	(95 818)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(472 453)	(202 546)	(95 818)
მოგება დაბეგრამდე		1 534 249	1 448 378	2 069 171
მოგების გადასახადი				-
წმინდა მოგება		1 534 249	1 448 378	2 069 171
სხვა სრული შემოსავალი:				
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით				-
მთლიანი სრული შემოსავალი		1 534 249	1 448 378	2 069 171

დირექტორი

ზურაბ ჯანელიძე

18 დეკემბერი 2023 წელი

მთ.ბუღალტერი

გულნაზი ჯალაღი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი	8 080	982 658	3 949 388	4 940 126
წმინდა მოგება	-	-	1 448 378	1 448 378
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1 448 378	1 448 378
გაცემული დივიდენდი	-	-	(1 196 000)	(1 196 000)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	(319 745)	(319 745)
2021 წლის 31 დეკემბერი	8 080	982 658	4 201 766	4 872 760
წმინდა მოგება	-	-	1 534 249	1 534 249
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1 534 249	1 534 249
გაცემული დივიდენდი	-	-	(2 868 105)	(2 868 105)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	(74 496)	(74 496)
2022 წლის 31 დეკემბერი	8 080	982 658	2 793 413	3 464 407

დირექტორი

ზურაბ ჯანელიძე

18 დეკემბერი 2023 წელი



მთ.ბუღალტერი

გულნაზი ჯელაძე

	31.12.2022	31.12.2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	10 658 622	7 854 144
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	35 036	-
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(12 261 433)	(6 768 302)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(26 412)	(2 478 337)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	1 406 192	(1 423 035)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(145 465)	-
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(24 053)
ზანკის საკომისიო	(158 477)	(163 645)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(10 000)	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	(1 594 187)	(1 392 495)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	-	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების აღება	8 452 120	2 075 000
სესხების დაფარვა	(3 448 516)	(910 602)
გადახდილი პროცენტები	(689 942)	(204 114)
გადახდილი დივიდენდები	(2 724 700)	(1 136 200)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	1 588 962	(175 916)
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(7 374)	(754)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(12 598)	(1 569 165)
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	213 802	1 782 967
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	201 204	213 802

დირექტორი
ზურაბ ჯანელიძე

18 დეკემბერი 2023 წელი

მთ.ბუღალტერი

გულნაზი ჯალაძე

1. ანგარიშის წარმდგენი პირის ძირითადი საქმიანობა

შპს „ჰერბია“ ს/კ 221272851 (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდი 221272851 „კომპანია“ დაარსდა 2006 წლის 25 ივლისს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.წყალტუბო თამარ მეფის ქუჩის გაგრძელება. ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ.წყალტუბო თამარ მეფის ქუჩის გაგრძელება
კომპანიის დამფუძნებლები:

რევაზი ჯანელიძე - 50%

ზურაბი ჯანელიძე - 25%

დავითი ჯანელიძე - 25%

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს ზოსტენულის და ბალჩეულის, ძირხვენების და ტუბერების მოყვანა ხილის და ზოსტენულის გადამამუშავების და კონსერვირების სხვა სახეები, აგრეთვე საბითუმო ვაჭრობა ხილით და ზოსტენულით. რეალიზაცია ხორციელდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა, შესაბამისად, 100 და 79 ადამიანს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანია მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ფუნქციონირებადი საწარმო

2020 წლის თებერვლიდან ქვეყანაში არსებული პანდემიური სიტუაციის შედეგად 2020 წლის 21 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და აგრეთვე შეზღუდული იყო გარკვეული სახის ეკონომიკური საქმიანობის წარმოება.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. მოსალოდნელია, რომ ომს ექნება ყოვლისმომცველი გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე, მაგალითად, საქონლის მზარდი ფასების, ნავთობის/გაზის/ნახშირის პოტენციური დეფიციტის, ბიზნესის შეფერხების და ა.შ. გამო. მიუხედავად ამისა, კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ ეს უარყოფითი გარე ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მის ოპერაციებსა და შესრულებაზე, რადგან კომპანიას არ აქვს კავშირი ომის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებთან. არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო ეფექტების პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან. ყოველივე ამის მიუხედავად კომპანიამ შეძლო გაყიდვების გაზრდა, საერთო მოგების მარჟის შემცირების ხარჯზე. მაგრამ კომპანია დგას გარკვეული ფინანსური და საოპერაციო სირთულეების წინაშე, რაც ქვემოთ არის აღწერილი:

- 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აკუმულირებული მოგება შეადგენს 2 473 668 ლარს
- 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქვს სესხი 8 761 319 ლარი
- კომპანიას აქვს უარყოფითი ლიკვიდურობის პოზიცია

ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს არსებით განუსაზღვრელობის არსებობაზე, კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. მენეჯმენტი მუშაობს აღნიშნული სირთულეებისა და გამოწვევების დასაძლევად.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ საადრიცხო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია

ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში 1(ერთი) ლარის სიზუსტით.

ძირითადი საშუალებები**აღიარება და შეფასება**

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხორციელდება გადაფასებული ღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები არ განეკუთვნება ისეთი აქტივების კატეგორიას, რომელთა ღირებულებებიც ხშირად იცვლება.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება,

ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი, ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა

შენობა-ნაგებობები	20-30 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	10-15წელი
მანქანა დანადგარები	10-15 წელი
საოფისე აღჭურვილობა	7-15 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7-10 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	8-10 წელი
არამატერიალური აქტივები	15 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს, გარდა გუდვილისა, აქვს განსაზღვრული ექსპლუატაციის ვადა. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის საფუძველზე ექსპლუატაციის პერიოდში.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი

	აშშ დოლარი	ევრო	შვეიცარული ფრანკი	ფუნტი სტერლინგი	რუსული რუბლი
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.0976	3,504	3.3772	4.1737	0.041479
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,702	2,8844	2,9322	3,2581	0,03677

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში აღირიცხება თვითღირებულების მეთოდით.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

თავდაპირველი აღიარებისას გამოწვევის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგრის ახალი მოდელი, ე.წ. ესტონური მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება: 1) დივიდენდის განაწილება, 2) სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის, 3) ხარჯები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, 4) გადახდები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, 5) უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება, 6) წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ. დივიდენდი იბეგრება გადახდის მომენტში, თუ ის ნაწილდება ფიზიკურ პირზე, არაკომერციულ იურიდიულ პირზე, არარეზიდენტზე ან მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ საწარმოზე. დივიდენდი არ იბეგრება იმ შემთხვევაში, თუ ის ნაწილდება საწარმოზე, რომელიც გადასულია დაბეგრის ახალ მოდელზე. იგივე წესები მოქმედებს მიღებული დივიდენდის ხელახლა განაწილებისას. განაწილებული დივიდენდის დაბეგრისას მნიშვნელობა არ აქვს მოგების მიღების წელს, თუმცა ორმაგად დაბეგრის თავიდან ასაცილებლად, საწარმოს უფლება აქვს სრულად ან ნაწილობრივ ჩაითვალოს ადრე დარიცხული და გადახდილი ყოველწლიური მოგების გადასახადი 2008-2016 წლების წმინდა მოგების განაწილებისას.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი, მარაგის შემენის დანახარჯები მოიცავს: მათი შემენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და საერთოდ იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შემენასთან. შემენის დანახარჯების დათვლისას გაანგარიშებული თანხა შემცირდება სავაჭრო დათმობის, სხვადასხვა სახის ფასდათმობისა და სხვა ანალოგიური მუხლების ღირებულებით.

შემოსავლები

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებების იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისაგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას, ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილება საგადასახადო კანონდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობას ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ექვეყნებინათ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდი მოიცვას. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიას საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

შპს „ჰერბია“ ს/კ 221272851
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა -3 ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენიშნა- დაუმთავრებელი მშენებლობა	მრავალწლიანი ნარგავები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინსტრუმენტები	ინვენტარი და სხვა საშუალებები	ავტორიზაციის საშუალებები	ჯამი	
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	817 656	466 451	2 896 310	2 686	1 029 114	81 545	99 008	118 969	688 344	6 942	6 207 026
შესყიდვა	1 900	494 939	111 504		350 733	21 519	51 614	55 326	280 795		1 368 329
მდგომარეობის რეგულაციები	-	(484 898)	484 898								
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	819 556	476 491	3 492 712	2 686	1 379 847	103 064	150 622	174 295	969 139	6 942	7 575 355
შესყიდვა		3 064 601	896	6 450	705 081	10 264	33 062	400 381	57 761		4 278 497
გასვლა									7 736		7 736
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	819 556	3 541 092	3 493 609	9 137	2 084 928	113 328	183 684	574 675	1 019 164	6 942	11 846 116
დაფარული ცვეთა											
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	589 977		197 248	63 776	31 188	34 230	197 078	3 063	1 116 560
ცვეთის ხარჯი	-		137 143		95 271	13 609	32 124	29 246	149 533	1 388	458 315
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	727 120	-	292 519	77 385	63 312	63 476	346 612	4 451	1 574 876
ცვეთის ხარჯი	-	-	131 138	-	139 626	11 016	26 972	69 731	146 575	1 388	526 447
გასული აქტივების დაფარული ცვეთა									6 935		6 935
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	838 238	-	432 145	88 401	90 285	133 207	500 122	5 840	2 094 387
სამალაშრო ღირებულება											
2020 წლის ბოლოს	817 656	466 451	2 306 333	2 686	831 866	17 769	67 820	84 739	491 265	3 879	5 090 466
2021 წლის ბოლოს	819 556	476 491	2 765 592	2 686	1 087 328	25 679	87 310	110 819	622 528	2 491	6 000 480
2022 წლის ბოლოს	819 556	3 541 092	2 635 351	9 137	1 652 783	24 927	93 400	441 468	519 042	1 102	9 751 729

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა-4

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარი	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული ლარებში			
ნაღდი ფული ადგილობრივ ბანკში ლარში	161 038	159 446	1 662 529
აშშ დოლარები ადგილობრივ ბანკებში	38718	54356	120354
ევროები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	1 448	-	31
სულ:	-	-	53
	201 204	213 802	1 782 967

ფულისა და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის.

შენიშვნა-5

საექპრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1 679 139	1 124 814	836 318
საექპრო მოთხოვნების კორექტირება	(4 112)	(4 112)	(4 112)
მოთხოვნები ანგარიშგალდებული პირების მიმართ	86 946	1 493 138	70 103
მიწოდებელზე გადახდილი ავანსები	651 871	266 364	30 364
სულ:	2 413 844	2 880 204	932 674

შენიშვნა-6

მარაგები

ლარი

საქონელი

ნედლეული და მასალები

სამშენებლო მასალები

დაუმთავრებელი წარმოება

მზა პროდუქცია

საწვავ-საცხები მასალები

სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი

სულ:

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ნედლეული და მასალები	48 437	10 582	1 293
სამშენებლო მასალები	302 230	119 274	116 023
დაუმთავრებელი წარმოება	49 358	2 154	7 288
მზა პროდუქცია	-	-	-
	162 107	29 952	12 018
საწვავ-საცხები მასალები	10 065	14 765	4 605
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	65 149	87 770	57 318
სულ:	637 345	264 498	198 544

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებით. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა-7

სესხები

გრძელვადიანი სესხები ბანკებიდან

სულ:

31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
8 761 319	3 757 715	2 563 018
8 761 319	3 757 715	2 563 018

სესხები

	2022	2021
საწყისი ნაშთი	3 757 715	2 593 317
საპროცენტო ხარჯი	689 942	204 114
მიღებული სესხი	8 452 120	2 075 000
ძირი თანხის გადახდა	(3 448 516)	(910 602)
გადახდილი პროცენტი	(689 942)	(204 114)
გადაფასების უფექტი		
სულ მიღებული სესხი	8 761 319	3 757 715

სესხი მიღებულია სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან წლიური საპროცენტო განკვეთით 9-15%, დაფარვის ვადა 2023-2032წელი. კომპანიას აქვს აგრეთვე შეღავათიანი აგროსესხი(4%) და აწარმოე საქართველოს პროექტის სესხი (9%).

შენიშვნა-8

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში

მოწოდებიდან და მომსახურებ. წარმოქმნ. ვალდებულებები

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სულ:

31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
694 033	707 059	472 146
72 382	13 400	9 020
766 415	720 459	481 166

შენიშვნა-9

ამონაგები

ლარი

შემოსავალი რეალიზაციიდან

სულ:

31.12.2022	31.12.2021
12 006 968	5 136 488
12 006 968	5 136 488

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა-10

თვითღირებულება

ლარი

	31.12.2022	31.12.2021
ძირითადი მასალების დანახარჯები / შეძენა	5 022 696.69	275 887.41
პირდაპირი ხელფასი / თვითღირებულებაზე	559 468.41	446 425.72
ს უ ლ:	5 582 165	722 313

შენიშვნა-11

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი

	31.12.2022	31.12.2021
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	187 390	110 095
კომუნიკაციის ხარჯები	21 154	9 723
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	26 639	37 182
ელექტროენერგია და გაზი (საერთო-ადმინისტრაციული)	38 476	43 391
საერთო დანიშნულების ძირ. საშუალებების ცვეთა	526 447	458 315
საბანკო ხარჯები	158 477	163 599
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვითება	365 416	309 732
საოფისე ინვენტარის ხარჯები	-	3 031
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	153
ს უ ლ:	1 324 499	1 135 221

შენიშვნა-12

მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

რეკლამის ხარჯები

საკომისიო გასამრჯელო და შრომის ანაზღ. / მიწოდებაზე

მიწოდების ხარჯები (კომერციული)

მიწოდების სხვა ხარჯები

ს უ ლ:

	31.12.2022	31.12.2021
რეკლამის ხარჯები	2 445.75	6 334.15
საკომისიო გასამრჯელო და შრომის ანაზღ. / მიწოდებაზე	1 193 094.55	547 682.92
მიწოდების ხარჯები (კომერციული)	7 723.14	2 202.21
მიწოდების სხვა ხარჯები	1 262 473.44	982 303.65
ს უ ლ:	2 465 737	1 538 523

შენიშვნა-13
სხვა ხარჯები
ლარი

	31.12.2022	31.12.2021
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	4 249	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	581 091	326 202
განსაკუთრებული ხარჯები	11 454	-
მოგების გადასახადის ხარჯი	506 137	-
ს უ ლ:	1 102 931	326 202

14. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი მოიცავს საბანკო დეპოზიტებიდან მიღებულ საპროცენტო შემოსავალს.

15. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი მოიცავს საბანკო საპროცენტო ხარჯს.

16. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;

ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;

საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი,

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული და ფულის ექვივალენტი	201204	213802
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2413844	2880204
მთლიანი ფინანსური აქტივები	2615048	3094006
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(766415)	(720459)
მიღებული სესხები	(8761319)	(3757715)
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	(9527734)	(4478174)

გ) რისკების მართვის სტრატეგია

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე, კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის, რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად, რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად, კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ლიკვიდურობის ცხრილი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის:

ლიკვიდურობის ცხრილი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის:

	1 წელზე ნაკლები	1დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტი	201 204	-	-	201 204
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2 413 844	-	-	2 413 844
აქტივები	2 615 048	=	=	2 615 048
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	-	-
მიღებული სესხები	-	(8761319)	-	(8 761 319)
ვალდებულებები	-	(8 761 319)	=	(8 761 319)
ლიკვიდურობის პოზიცია	2 615 048	(8761319)	-	(6 146 271)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე, საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკუროსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო, კომპანიის განფენილობა საკუროსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს. მენეჯმენტის აზრით სავალუტო რისკები უმნიშვნელოა, ვინაიდან ფინანსური ვალდებულებები- სესხები კომპანიას აღებული აქვს ლარებში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

17. იჯარები

„მსს ფას“-ს თანახმად იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება, თუ:

ა) იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს გადაეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ;

(ბ) მოიჯარეს უფლება აქვს, აქტივი შეიძინოს ისეთი ფასით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად დაბალი იქნება აქტივის რეალურ ღირებულებაზე, რომელიც მას ექნება უფლების გამოყენების მომენტში, ხოლო იჯარის დასაწყისისათვის არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ეს უფლება გამოყენებული იქნება;

(გ) იჯარის ვადა მოიცავს აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითად ნაწილს, მაშინაც კი, როდესაც

საკუთრების უფლების გადაცემა არ ხდება;

(დ) იჯარის დასაწყისისათვის მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება შეადგენს სულ მცირე საიჯარო აქტივის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას; და

(ე) იჯარით გაცემული აქტივები იმდენად სპეციფიკურია, რომ მხოლოდ ამ მოიჯარეს შეუძლია მათი გამოყენება, არსებითი მოდიფიკაციის გარეშე.

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირების შედეგად მიღებული თანხა არ წარმოადგენს ობიექტის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას. ამგვარი საიჯარო ხელშეკრულებები აღიარებულია საოპერაციო ხარჯად.

18. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები, საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული, ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით. მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი

შესაძლო ურთიერთობების განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსათვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა- 20

გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2022	დაუფარავი ნაშთი 31.12.2021	ტრანზაქციის ლირებულება 2022წელი	ტრანზაქციის ლირებულება 2021წელი
ოპერაციები მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ საწარმოებთან:				
დაუფარავი ნაშთების თანხა:	86 946	1 493 138		
სავაჭრო მოთხოვნები		=	1 833	=
სულ მოთხოვნები	86 946	1 493 138	1 833	=
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	=	=	31 472	
გადასახდელი/გადახდილი ხელფასი			117 015	128 465
გაცემული დივიდენდი			2 868 105	1 196 000
სულ ვალდებულებები	=	=	3 016 593	5 242 600

21. სასამართლო პროცესები

კომპანიას რაიმე სასამართლო დავა არ გააჩნია

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 18 დეკემბერს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ ჰქონია ადგილი მნიშვნელოვან მაკორექტირებელ და არამაკორექტირებელ მოვლენებს.

მმართველობითი ანგარიში
შპს „ჰერბია“ ს/კ 221272851

2022 დეკემბერი

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა	4
კომპანიის განვითარების გეგმები.....	4
კომპანიის მომგებიანობისა და სხვა მაჩვენებლები	5
კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა.....	6
ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ.....	6
საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია.	6
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	7
კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ.....	7
ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად	8

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობითი ანგარიშგება, მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის
მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 18 დეკემბერს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10
პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები
ვალდებული არიან, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს
ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის
„გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს მმართველობითი
ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
- ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ;
- საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;
- კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და
ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;
- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის
შესაბამისად.

შპს „პერბია“

დირექტორი:

ზურაბ ჯანელიძე



საქმიანობის მიმოხილვა

კომპანია და საქმიანობის შედეგები

შპს „ჰერბია“ ს/კ 221272851 Global Gap სერტიფიკატის მქონე კომპანიაა, რომელსაც სასუქის გამოყენების გარეშე მოჰყავს მწვანელი და ბოსტნეული. კომპანია ახდენს წარმოებული პროდუქციის დაფასოებას და დისტრიბუციას საქართველოს სხვადასხვა სავაჭრო ქსელში. შპს „ჰერბია“ -მ საქმიანობა დაიწყო 2006 წელს და მას შემდეგ ძალიან მალე გახდა უმაღლესი ხარისხის სათბურში მოყვანილი მწვანელების და ბოსტნეულის ერთ-ერთი წამყვანი მწარმოებელი და პირველი კომპანია საქართველოში, რომელმაც დაიწყო პროდუქციის დაფასოება. ჰერბიას სათბურები წყალტუბოში 3 პექტარზეა გაშენებული, კომპანიას მოწყობილი აქვს საწყობი-მაგივარი და დასაფასოებელი საამქრო, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და საწარმოო ხაზებით. ჰერბია მომხმარებელს სთავაზობს სანდო ადგილობრივ პროდუქციას მთელი წლის განმავლობაში. ყველა პროდუქტი, რომელიც ჰერბიას სავაჭრო ნიშნით იწარმოება, შესაბამემა სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტებს და გარემოსდაცვით მოთხოვნებს.

წარმოებული პროდუქცია:

შპს „ჰერბია“ აწარმოებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას თანამედროვე ტექნოლოგიების და ხარისხის სტანდარტების დაცვით. კომპანია მუდმივად ზრუნავს მომხმარებელზე და მთელი წლის განმავლობაში უწყვეტად ამარაგებს ადგილობრივ ბაზარს. გასინჯეთ ჰერბიას პროდუქცია, იგრძენით განხვევება და დარწმუნდებით, რომ ის საუკეთესოა ქართულ ბაზარზე.

კომპანიის ძირითადი პროდუქტებია :

- | | | | | |
|-------------------|-------------|-----------------|-------------------|------------|
| 1. ბოსტნის რეჰანი | 4. კამა | 7. რუკოლა | 10. პომიდორი | 13. ბოლოკი |
| 2. ნიახური | 5. პიტნა | 8. წიწმატი | 11. კიტრი | 14. წიწაკა |
| 3. ქინძი | 6. ოხრახუმი | 9. მწვანე ხახვი | 12. სალათის მიქსი | |



კომპანიის პროდუქცია იყიდება მთელი საქართველოს მასშტაბით ქსელურ და უზნის ტრადიციულ მაღაზიებში. კომპანიის პროდუქციის დისტრიბუცია ხორციელდება საკუთარი სადისტრიბუციო ხაზის საშუალებით.

კომპანიის საქმიანობა წლების განმავლობაში შემდეგნაირად ვითარდებოდა:

2006 წ - ჰერბია ხსნის საკონსოლიდაციო ცენტრს სოფელ ტყაჩირში (იმერეთი), რომელსაც ადგილობრივი ფერმერები აწვდიან პროდუქტს.

2008 წ- ჰერბია აარსებს 3 ჰა სათბურს წყალტუბოში კულინარიული ბაღის წარმოებისთვის

2009 წელი - ხდება პირველი Global Gap-ის სერტიფიცირებული კომპანია საქართველოში.

2010 წელი - ახალი მწვანელი ექსპორტზე გადის გერმანიაში.

2013 წელი- ხდება პირველი კომპანია საქართველოში, რომელმაც ადგილობრივ ბაზარზე დაფასოებული მწვანელი დანერგა.

2014 წელი - SAID-ის მხარდაჭერით, წყალტუბოში აშენებს თანამედროვე სამაცივრო საწყობს ორი შესაფუთი ხაზით.

2014 წელი-USAID-ის მხარდაჭერით ახდენს ბიზნესის რეგრენდინგს.

კომპანიის მომგებიანობა სხვადასხვა მაჩვენებლებით იყო შემდეგი :

				2022	2021
ლიკვიდურობის აოქსიციენტები					
მიმდინარე აოქსიციენტი	=	მიმდინარე აქტივები	=	4.17	4.60
		მიმდინარე ვალდებულებები			
სრული აოქსიციენტი	=	მიმდინარე აქტივები - მარაგები	=	3.35	4.24
		მიმდინარე ვალდებულებები			
აქტივების სტრუქტურის აოქსიციენტები					
ვალდებულება მთლიან აქტივებთან	=	ვალდებულებები	=	0.67	0.48
		მთლიანი აქტივები			
საწარმოებო ხარჯების დაფარვის აოქსიციენტი	=	საწარმოო მოგება	=	4.25	8.15
		საწარმოებო ხარჯი			
მოგებაანობის აოქსიციენტები					
წმინდა მოგების მარჟა	=	წმინდა მოგება	=	0.128	0.282
		გაყიდვები			
საერთო მოგების მარჟა	=	საერთო მოგება	=	0.535	0.859
		გაყიდვები			
მოგება აქტივებზე	=	წმინდა მოგება	=	0.118	0.155
		მთლიანი აქტივები			

მთლიანი შემოსავალი

1 534 249 1 448 378

მთლიანი შემოსავალი 2022 წელს გაზრდილია დაახლოებით 6% ით

საერთო მოგება

6 424 803 4 414 175

საერთო მოგება 2021 წელთან შედარებით გაზრდილია 45 %

დაგროვილი მოგებას კომპანია პერიოდულად ანაწილებს პარტნიორებზე , გამოცხადებული დივიდენდის სახით. ასევე იყენებს რეინვესტირებისათვის , რათა გაზარდოს წარმოება , გაამრავალფეროვნოს შემოთავაზებული პროდუქციის პორტფელი , დაამატოს ახალი მიმართულებები და ა.შ.

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანია შპს „ჰერბია“ (იურიდიული მის.: საქართველო, წყალტუბო თამარ მეფის ქუჩის გაგრძელება : ს/ნ 221272851, დაარსების წ. 2006) ახორციელებს ბოსტნეულის და ბალახეულის, ძირხვევნების და ტუბერების მოყვანა ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავების და კონსერვირების სხვა სახეები, აგრეთვე საბითუმო ვაჭრობა ხილით და ბოსტნეულით. რეალიზაცია ხორციელდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. კომპანია „ჰერბია“ აღნიშნულ სფეროში 16 წლიანი გამოცდილების მქონე პროფესიონალი გუნდის მიერ, საზოგადოებაში მოპოვებული ნდობისა და მიღწეული ფინანსური წარმატების ბაზაზე. კომპანია „ჰერბია“-ს მისიაა: მხოლოდ კმაყოფილი და ბედნიერი მომხმარებლების ბაზაზე მიღწეული ფინანსური წარმატება; მისი ხედვაა ინოვაციური პროექტების და გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმების განხორციელება.

კომპანიას შემუშავებული აქვს კლიენტების ინტერესებზე მორგებული მენეჯმენტი, რათა მათ შეძლონ მაქსიმალურად დაბალ ფასად შეიძინონ მაღალხარისხიანი პროდუქცია (ხილ-ბოსტნეული) ამ მიზნით კომპანია მაქსიმალურად აფართოებს საქმიან კონტაქტებს საქართველოში დაფუძნებული მსხვილ კომპანიებთან, კერძოდ კომპანია ჰერბია საქართველოში არსებული მსხვილი ჰიპერმარკეტების (კარფური, გუდვილი, ნიკორა, ორი ნაბიჯი) ძირითადი მომარგებელია. აღნიშნული სავაჭრო ურთიერთობები დადებითად აისახება ხილ-ბოსტნეულის ფასების შემცირებაზე, ასევე უნდა აღინიშნოს რომ კომპანიის სტრატეგია გახლავთ ქართული წარმოების პროდუქციის გაზრდა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას და ადგილობრივი პროდუქციის წარმოებას.

მომავალში კომპანია გეგმავს საექსპორტო პროდუქციის წარმოებას, ასევე იგეგმება საქართველოს მასშტაბით დისტრიბუციის გაფართოება, კერძოდ ქ.თბილისში მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას დაწყებული აქვს სასაწყობო და სამეურნეო ობიექტის მშენებლობა, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე მანქანა დანადგარებით და იგეგმება 100 მეტი ადგილობრივი მაცხოვრებლების დასაქმება.

კომპანიის უმთავრესი ღირებულებებია:

- მუდმივი სწრაფვა განვითარებისა და წარმატებისკენ;
- მუდმივი სწრაფვა მომხმარებლების, თანამშრომლების, პარტნიორებისა და კლიენტების ნდობის მოპოვებისკენ;
- მუდმივი სწრაფვა მომხმარებლების მოთხოვნებზე მომსახურეობის მაქსიმალურ მორგებაზე, რათა მათ შეძლონ სასურველი მოძრავი ქონების სასურველ ფასად შეძენა;
- მუდმივი ზრუნვა მომსახურეობის სისწრაფის, უსაფრთხოების და დაბალი ტარიფების უზრუნველსაყოფად;
- მომხმარებლისთვის ხელსაყრელი გადახდის პირობების შეთავაზება;
- მომხმარებლისთვის მაღალკვალიფიციური კონსულტაციების გაწევა ავტომანქანისა და სხვა პროდუქციის შერჩევასთან და მათ ტექნიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებით;
- მომხმარებლისთვის მაღალკვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის და მომსახურეობის გაწევა ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებულ ნებისმიერ სადაო საკითხზე.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა

2022 წელს კომპანიას კვლევები არ უწარმოებია.

ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას არ აქვს ფილიალები.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია.

კომპანიას არ გააჩნია საკუთარი აქციები.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიას შემუშავებული აქვს კლიენტების ინტერესებზე მორგებული მენეჯმენტი, რათა მათ შეძლონ მაქსიმალურად დაბალ ფასად შეიძინონ მაღალხარისხიანი ხილ -ბოსტეული

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

ფინანსური რისკები

ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და საინვესტიციო რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს და საპროცენტო განაკვეთის რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და საინვესტიციო რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და საინვესტიციო რისკების შესამცირებლად.

კომპანია შესაძლოა აღმოჩნდეს შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;

2020-2022 წელს კორონავირუსით გამოწვეული გლობალური პრობლემებიდან გამომდინარე კომპანიას მოუწია შეჯახება რიგ გართულებებთან, რაც გამოიხატა რეალიზაციის შემცირებაში. კომპანიამ მიიჩნია მიზანშეწონილად ამ ყველაფრიდან გამომდინარე შეეცალა უიმედო ვალების ანარიცხების მიმართ მიდგომა.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

კომპანიის მაქსიმალური ზემოქმედება საკრედიტო რისკზე, ძირითადად, აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში

დებიტორული დავალიანება: მნიშვნელოვანი დებიტორებისათვის ინდივიდუალური გაუფასურების შეფასება ხორციელდება ყოველი საბალანსო თარიღისათვის.სავაჭრო დებიტორებიდან მოთხოვნები ინდივიდუალურად ფასდება თითოეული კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასების საფუძველზე. შეფასებისას კომპანიის მენეჯმენტის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული კონტრაგენტის შესაძლებლობა თუ რამდენად დროულად დაფარავს საკონტრაქტო პირობით განსაზღვრულ ყველა აუცილებელ გადასახდელ თანხას. ყოველ კონტრაგენტთან გადახდის პირობებს არეგულირებს ხელშეკრულება. ხოლო ჯგუფური მიდგომის დროს იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილულ დღეებზე. კომპანიას აქვს 4 ვადაგადაცილების დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე.

კომპანიის საკრედიტო რისკის მართვა ხორციელდება კონტრაგენტებისგან წინასწარი გადახდების მოთხოვნით. საკრედიტო რისკი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც ვალდებული პირი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობას და ეს იწვევს ფინანსურ ზარალს კომპანიისათვის. სავაჭრო დებიტორები შედგებიან მრავალი მომხმარებლისგან. საკრედიტო შეფასება ხორციელდება დებიტორების ფინანსური მდგომარეობის გადახედვით და შესაბამისი საეჭვო ვალების რეზერვის შექმნით.

ლიკვიდურობის რისკი.

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას. რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი

დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს დადებითი ლიკვიდურობის პოზიცია და არ დგას ლიკვიდურობის რისკის წინაშე.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე, საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი. უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო, კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

კომპანია გაყიდვებს არ ახორციელებს უცხოურ ვალუტაში, ხოლო შესყიდვების წილი მიზერულია უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად არ დგას სავალუტო რისკის წინაშე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის, რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად, რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად, კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

შპს „ჰერბია“-ს

დირექტორი:

ზურაბი ჯანელიძე

